

ავტორი ამირან ბასილაშვილი
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი
საქართველო, თბილისი
Email: amiranbasilashvili@gmail.com

წარმოქმნილ სახელთა სემანტიკური ჯგუფები უდიურ ენაში

საკვანძო სიტყვები: უდიური ენა, დერივაცია, სემანტიკური ჯგუფები

შესავალი

სიტყვაწარმოება ანუ დერივაცია სიტყვის იმგვარი ცვლილებაა, როცა იცვლება მისი ლექსიკური მნიშვნელობა. დერივაცია ფლექსიას უპირისპირდება, რომელიც სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობის ცვლას გულისხმობს.

დერივაციის დროს ერთი მეტყველების ნაწილისგან სპეციალური სადერივაციო აფიქსების დართვით იწარმოება იგივე ან სხვა მეტყველების ნაწილები (ახალი ფუძეები).

როგორც ცნობილია, ფუძეზე დართვის ადგილის მიხედვით მაწარმოებელი აფიქსები ოთხი სახისაა: პრეფიქსები (თავსართები), სუფიქსები (ბოლოსართები), ინფიქსები (შუასართები) და ცირკუმფიქსები (თავსართ-ბოლოსართები). პრეფიქსები უდიურ სიტყვაწარმოებაში არ გვხვდება. პრეფიქსებად ისტორიულად მოქმედი გრამატიკული კლასის ნიშნები გვაქვს, რომლებიც დღეს ფუძესთან არის შეზრდილი და მხოლოდ ისტორიულ-ეტიმოლოგიური ძიების შედეგად გამოიყოფა. ინფიქსებად უდიურში პირის ნიშნები გვხვდება. უდიურისთვის არც ცირკუმფიქსული წარმოებაა დამახასიათებელი. უდიურში გავრცელებულია ოდენ სუფიქსური სიტყვაწარმოება.

უდიურში სიტყვაწარმოების (დერივაციის) ფუნქციით გამოიყენება ბრუნვის ნიშნებიც: ერგატივ-ინსტრუმენტალისის, ნათესაობითის, მიცემითის, აბლატივ-ინსტრუმენტალისის და ალატივის სუფიქსები. ამათგან ყველაზე პროდუქტიული ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებია.

სიტყვაწარმოებელ აფიქსთაგან ზოგი მხოლოდ ერთი ფუნქციით გამოიყენება (მაგალითად, -ლა, -ბა), ზოგი კი – სხვადასხვა ფუნქციით (მაგ., -ლუ, -უნ). ზოგიერთი მაწარმოებლის გამოყენება უფრო პროდუქტიულია (მაგ., -უნ, -ლულ), ზოგიერთი კი მხოლოდ რამდენიმე სიტყვაშია თავჩენილი (მაგ., -იხ, -ახ-ო, -უ-ჰ).

ენა თავისი ისტორიის მანძილზე იცვლის სიტყვაწარმოებით მოდელს. ზოგიერთი მაწარმოებელი აქტიურდება, ზოგი, პირიქით, პასიურდება და ენის განვითარების რაღაც ეტაპზე ცოცხალი აფიქსი, ისტორიული დერივაციის კუთვნილება ხდება. უდიურ ენას ისტორიულად უწევდა (და დღესაც უწევს) არცთუ უსაფრთხო ენობრივ გარემოში ფუნქციონირება. მის ფუნქციონირებაზე მოქმედებდნენ (და მოქმედებენ) ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები. უდიურის, როგორც კავკასიის ალბანეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი შემადგენელი სუბეთნოსის ასიმილაციას თურქულენოვან ხალხთან შედეგად მოჰყვა თურქული (მოგვიანებით აზერბაიჯანული) ენის ძლიერი გავლენა უდიური ენის ლექსიკაზე, ფონოლოგიურ სისტემასა და მორფოლოგიაზე. ეს გავლენა კარგად იგრძნობა სიტყვაწარმოებაშიც.

უდიურში გვაქვს სახელური და ზმნური სიტყვაწარმოება. ნაშრომის მიზანი მხოლოდ სახელური სიტყვაწარმოების შესწავლაა, რაც ძირითადად გულისხმობს სუბსტანტივისა და ატიბუტივის წარმოებას. უნდა აღინიშნოს, რომ საკითხზე მუშაობამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემა – მეტყველების ნაწილთა ტრადიციული

კლასიფიკაციის ნაკლებეფანობისა, ანუ მათ შორის მკვეთრი წყალგამყოფის გატარების შეუძლებლობისა.

უდიურში მასუბსტანტივებელი და მათრიბუტივებელი ფორმანტების განაწილება მკაცრად არ არის დაცული. ერთი და იგივე მანწარმოებელი შეიძლება ორივე შემთხვევაში გვქონდეს. სუბსტანტივიდან ატრიბუტივია მიღებული: ფოფ-ლა 'თმიანი' (ფოფ 'თმა'), მეკ-ბა 'ჭიანი', 'მატლიანი' (მეკ 'ჭია', 'მატლი'), ალალა-ლუ 'წვიმიანი' (ალალა 'წვიმა'), ხარი-ნ 'ფქვილიანი' (ხარი 'ფქვილი'), აბუზ-უნ (ვართ.) / ავუზ-უნ//ალუზ-უნ (ნიჯ.) 'დამატებითი', 'ზედმეტი' (აბუზ (ვართ.) / ავუზ//ალუზ (ნიჯ.) 'დანამატი', 'დამატება'), იმუხ-ნუთ 'უყურო' (იმუხ 'ყური'), ამ-ნუტ 'უმუშევარი', 'უსაქმური' (ამ 'საქმე'), ყოშუნ-სუზ 'ულაშქრო', 'უჯარო' (ყოშუნ 'ლაშქარი', 'ჯარი')...; ატრიბუტივიდან – სუბსტანტივი: ავამ-ლულ 'უწიგნურობა', 'გამოუცდელობა' (ავამ 'უწიგნური', 'გამოუცდელო'), საფსა-ლულ 'მარტოობა', 'მარტოხელობა' (საფსა 'მარტოხელა')...; სუბსტანტივიდან სუბსტანტივი მიიღება: ბუხ-უნ 'სიმსივნე' (ბუხ 'სიმსივნე', 'შეშუპება'), ხუნჩი-კ 'დაიკო' (ხუნჩი 'და'), ნამ-ლულ 'სინესტე', 'ტენიანობა' (ნამ 'ნამი', 'ნესტი'), იხტილან-ჩი 'მოსაუბრე' (იხტილან 'საუბარი')...; ატრიბუტივიდან – ატრიბუტივი: უკ-უმჯი 'შექვესე' (უკ 'ექვესი'), ვიწ-უნჯი 'მეათე' (ვიწ 'ათი'), ბიპ-ალინ 'ოთხივე' (ბიპ 'ოთხი')...

წარმოქმნილ სახელთა სემანტიკური ჯგუფები

უდიურ ენაში შესაძლებელია გამოვყოთ წარმოქმნილ სახელთა შემდეგი სემანტიკური ჯგუფები: ქონების, უქონლობის, ხელობა-პროფესიის, კნინობით-ალერსობითი, წარმომავლობის, აბსტრაქტულობის, დანიშნულების, კრებითი, შენაცვლება-მაგივრობის და აგრეთვე წარმოქმნილი რიცხვითი (რიგობითი და კრებითი) სახელები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ წარმოქმნილ სახელთა სემანტიკური ჯგუფები ტრადიციული გრამატიკების გავლენით გამოიყოფა ამა თუ იმ ენისათვის, რაც ენის აღწერის თვალსაზრისით შეიძლება სულაც არ იყოს სრულყოფილი და რომ ეს ასეა, უდიური ენის მაგალითზეც გამოჩნდება – გამოყოფილ სემანტიკურ ჯგუფებთან ერთად, ისეთი ნაწარმოები სახელებიც გვაქვს, რომელთა მიკუთვნება ამა თუ იმ ჯგუფისთვის გაჭირდება.

ქონების სახელები. წარმოქმნილ სახელთა ამ ჯგუფით გამოხატულია ვინმეს ან რაიმეს ქონა-ყოლა. შესაბამისი შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება სუფიქსები: -ლა, -ბა, -ლუ, -ენ, -ახ, -იხ, -ახ-ო, -უ-ჭ.

-ლა და -ბა სუფიქსები, მართალია, ერთმანეთის პარალელურადაც გამოიყენება, მაგრამ აქ საქმე ფონეტიკურ ვარიანტებთან არ უნდა გვქონდეს – ისინი სხვადასხვა წარმოშობისა უნდა იყოს. უდიურ ლექსიკაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ -ლა სუფიქსი უფრო პროდუქტიულია, ვიდრე – ბა: ეყ-ლა//ეყ-ბა 'ხორციანი' (ეყ 'ხორცი'), ხე-ლა//ხე-ბა 'წყლიანი', 'წვნიანი', წი-ლა 'სახელოვანი', 'სახელიანი' (წი 'სახელი'), უკ-ლა 'გულიანი' (უკ 'გული'), აპ-ლა 'ოფლიანი' (აპ 'ოფლი'), ელმუხ-ლა 'ღონიერი', 'ძლიერი', 'ჯანმრთელი' (ელმუხ 'სული'), ერეყ-ლა 'თხილიანი' (ერეყ 'თხილი'), თანგაკ-ლა 'მდიდარი', 'შეძლებული' (თანგაკ 'სიმდიდრე', 'ქონება'), კორმოტ-ლა 'ფულუროიანი' (კორმოტ 'ფულურო'), ად-ბა 'სურნელოვანი', 'სუნიაანი' (ად 'სუნი'), ზორ-ბა 'ღონიერი', 'ძლიერი', 'ვეება', 'ზრგე' (ზორ 'ძალა', 'ძალმომრეობა'), მარ-ბა 'ჩირქოვანი, დაჩირქებული' (მარ 'ჩირქი'), ნეწ-ბა 'ტილიანი' (ნეწ 'ტილი')... ორივე მანწარმოებელი საკუთრივ უდიურია და არ არის ნასესხები რომელიმე სხვა ენიდან. ვლ. ფანჩვიძე მიუთითებდა ამ სუფიქსთა ნიუანსურ სხვაობაზე: -ლა გამოხატავს თითქოს საგნის შინაგან თვისებას, -ბა კი – გარეგნულ კუთვნილებას (ფანჩვიძე 1974: 121), მაგრამ ამგვარი განსხვავების ძიება შეუძლებლად გვეჩვენება ამ სუფიქსთა პარალელური ხმარების გამო. -ბა სუფიქსი საკმაოდ პროდუქტიული სადერივაციო სუფიქსია დაღესტნურ ენებში. აღნიშნული სუფიქსით ნაწარმოები სახელი ჯერ კიდევ მოსე კალანკატუელის ნაშრომში 'ალბანეთის ისტორია' გვხვდება (გუკასიანი 1968).

სიტყვაწარმოებისას ძირეულ ფუძეზე აფიქსთა დართვა სხვადასხვა ფონეტიკურ ცვლილებებს იწვევს. -ლა სუფიქსი პირველად ფუძეზე დართვისა და ახალი ფუძის წარმოქმნისას განიცდის

სრულ ან ნაწილობრივ ასიმილაციას: ფორ-რა ← ფორ-ლა 'ობიანი' (ფორ 'ობი'), ფუთ-ტა ← ფუთ-ლა 'ფუთიანი' (ფუთ 'ფუთი')...

აზერბაიჯანულიდან შემოსული -ლუ სუფიქსი ქონების სახელთა კიდევ ერთი მაწარმოებელია: ნელ-ლუ 'ცრემლიანი' (ნელ 'ცრემლი'), ჭემ-ლუ 'ჭუჭყიანი' (ჭემ 'ჭუჭყი'), ტამ-ლუ 'გემრიელი' (ტამ 'გემო'), დარა-ლუ 'დაჭრილი (იარაღით)' (დარა 'იარა'), ხათა-ლუ 'საშიში', 'სახიფათო' (ხათა 'შეცდომა'). მისი სემანტიკური ნიუანსი რაიმე თვისების ქონაზე მითითებაცაა: ჰუნარ-ლუ 'გამბედავი', 'მამაცი' (ჰუნარ 'გაბედულობა', 'მამაცობა'), ჰორმთ-ლუ 'პატივცემული' (ჰორმთ 'პატივი', 'პატივისცემა'), ჰირს-ლუ 'გაბრაზებული', 'მრისხანე' (ჰირს 'რისხვა', 'ზრაზი', 'ღვარძლი'), ყადლუ-ლუ 'მზრუნველი', 'შეწუხებული', 'შეფიქრიანებული' (ყადლუ 'ზრუნვა'), ყადდა-ლუ 'დისციპლინირებული', 'კანონიერი' (ყადდა 'წესი', 'წესრიგი'), ურბათ-ლუ 'პატივცემული', 'ავტორიტეტიანი' (ურბათ 'პატივისცემა'). -ლუ სუფიქსი ნიჯურ დიალექტში უფრო აქტიურია, რადგან აზერბაიჯანული ენის გავლენა ამ დიალექტზე უფრო ძლიერია.

-ლუ სუფიქსი ასიმილაციით ხანდახან -რუ, -ტუ ვარიანტებს იძლევა: აზარ-რუ ← აზარ-ლუ 'ავადმყოფი' (აზარ 'ავადმყოფობა'), ჭიქირ-რუ ← ჭიქირ-ლუ 'ფიქრიანი' (ჭიქირ 'ფიქრი'), ჰაბურ-რუ ← ჰაბურ-ლუ 'მორიდებული', 'ღირსეული', 'ზრდილობიანი' (ჰაბურ 'სირცხვილი', 'ღირსება', 'ზრდილობა'), აჩარ-რუ ← აჩარ-ლუ 'დაკეტილი', 'კლიტედადებული' (აჩარ 'გასაღები', 'საკეტი', 'ბოქლომი'), ბარაქტ-ტუ ← ბარაქტ-ლუ 'უხვი', 'ზარაქიანი' (ბარაქტ 'დოვლათი', 'ზარაქა'), დრვლან-ტუ ← დრვლან-ლუ 'მდიდარი'... -ლუ სუფიქსი ძირეული ფუძის ბოლოკიდური მჟღერი აფრიკატის სპირანტიზაცია-გაფშვინვიერებას იწვევს: ბორშ-ლუ ← ბორჟ-ლუ ← ბორჯ-ლუ 'მოვალე', 'ვალისანი' (ბორჯ 'ვალი', 'სესხი'). ერთ შემთხვევაში -ლუ სუფიქსის დართვა ფუძისეული ბოლოკიდური თანხმოვნის დაკარგვას იწვევს: ჭე-ლუ ← //ჭემ-ლუ 'ჭუჭყიანი' (ჭემ 'ჭუჭყი').

ქონების სახელთა წარმოქმნაში მონაწილეობს ბრუნვის ნიშნებიც. -ენ ერგატივ-ინსტრუმენტალისის ნიშნით ნაწარმოები ქონების სახელებია: ჭემ-ენ 'ჭუჭყიანი' (ჭემ 'ჭუჭყი'), ტამ-ენ 'გემრიელი' (ტამ 'გემო'), ფოს-ენ 'ნაგვიანი' (ფოს 'ნაგავი'), უყედნ-ენ 'ძვლიანი' (უყედნ 'ძვალი'), პაელმულონ ← პაელმოლონ ← პაელმუხ-ენ 'ფეხმძიმე', 'ორსული' (პა 'ორი' + ელმუხ 'სული' [Pluralia Tantum])... ამგვარი დერივაციის ნიმუშად გამოდგება იქენ 'ზამთარი' სიტყვის ეტიმოლოგიაც: იქ 'თოვლი' + -ენ = *'თოვლიანი'. ზამთარ- სიტყვის, როგორც ცივი, თოვლიანი სეზონის გააზრებას ანუ მისი წარმოების სამოტივაციო ეტიმონად თოვლის მიჩნევას უდიურის მსგავსად სხვა კავკასიური ენების ჩვენებაც უჭერს მხარს. უნდა აღინიშნოს, რომ ნიჯურ კილოში ასეთი წარმოების პარალელურად (და უფრო ხშირადაც) -ლუ სუფიქსიანი წარმოება გვაქვს: ჭემ-ლუ 'ჭუჭყიანი', ტამ-ლუ 'გემრიელი'... -ენ სუფიქსიანი წარმოება კავკასიის ალბანურისთვისაც იყო დამახასიათებელი: ტეგ-ენ 'ჭემმარტი' (ტეგ 'ღვთიური ნიშანი', ტეგ-უნ 'ჭემმარტება') (ლოლუა 2018: 155).

სხვა ბრუნვის ნიშანთა გამოყენება ქონების სახელთა წარმოებაში მინიმალურია. ასეთი სულ რამდენიმე მაგალითი მოგვეპოვება. მიცემითი ბრუნვის ფორმანტით -ახ ნაწარმოები ფუძეებია: აპ-ახ//აპ-ინ-ახ 'ოფლიანი', ჭან-ახ 'ცხიმიანი' (ჭან 'ცხიმი', 'ქონი'); -იხ სუფიქსით ნაწარმოებია თოგ-იხ 'ძვირი' (თოგ 'ფასი'). ქონების სახელთა მაწარმოებელ სუფიქსთა განაწილების კანონზომიერებაზე საუბარი ძნელია, რთულია თქმა, რა სენამტიკური განსხვავებაა იყ-ლა / იყ-ბა / იყ-ენ წარმოქმნილ ფუძეთა შორის, როცა სამივე მათგანი 'ნაცრიანს' აღნიშნავს. იგივე ითქმის აპ-ახ//აპ-ინ-ახ / აპ-ლა 'ოფლიანი' და სხვა ფუძეთა შესახებაც. -ლუ სუფიქსის ნიუანსურ თავისებურებაზე ზემოთ მივუთითეთ, დავამატებთ მხოლოდ, რომ ის უფრო აქტიური აზერბაიჯანულიდან ნასესხებ ლექსიკასთან არის, რაც, ბუნებრივია, რადგან -ლუ სუფიქსი აზერბაიჯანული ენიდან არის შემოსული.

ქონების სახელთა წარმოქმნა იშვიათად ორმაგი სუფიქსაციითაც აღინიშნება: თოგ-იხ-ლუ 'ძვირფასი'.

აბლატივ-ინსტრუმენტალისის (დაშორებითი) ბრუნვის -ახ-ო ფორმანტით ნაწარმოები ერთადერთი ქონების სახელი გვაქვს: ელ-ახ-ო 'მარილიანი', 'მლაშე' (ელ 'მარილი'). სახელური

სიტყვაწარმოებისგან განსხვავებით აბლატივ-ინსტრუმენტალისის ბრუნვა აქტიურად გამოიყენება ზმნისართა წარმოებაში: ბემ-ახ-ო 'წინათ', 'ძველად' (ბემ 'წინ'), დამდამ-ახ-ო 'დილაადრინად' (დამდამ 'დილა'), იმ-ა-ხო 'ახლოდან' (იმ 'ახლო'), მალ-ა-ხო 'აქედან' (მალა 'აქეთ')...

ერთადერთი ნიმუშით დასტურდება ალატივი (მიმართულებითი) ბრუნვის ნიმუშით -**უ-ჭ** წარმოქმნილი ქონების სახელი ელ-უ-ჭ 'მლაშე', 'მარილიანი' (ელ 'მარილი').

უქონლობის სახელები. უქონლობის სახელები რაიმე საგნის ან თვისების უქონლობას გამოხატავენ. უდიურში უქონლობის გამოსახატავად გამოიყენება სუფიქსები: -ნუთ// -ნუტ, -სუზ// -სეზ// -სუს, -ზა; ასევე პრეფიქსი -ქამ// -ქამ.

-ნუთ// -ნუტ უარყოფის ნაწილაკია, რომელიც სახელურ დერივაციაში ბოლოსართად გამოიყენება, დაერთვის სახელს და ძირეული ფუძით აღნიშნული საგნის ან ნიშან-თვისების უქონლობაზე მიგვითითებს: ბულ-ნუთ 'უთავო' (ბულ 'თავი'), ქულ-ნუთ 'უხელო' (ქულ 'ხელი'), შუმ-ნუთ 'უპურო' (შუმ 'პური'), ჰასო-ნუთ 'უდრუბლო' (ჰასო 'დრუბელი'), ბახტ-ნუთ 'უბედური' (ბახტ 'ბედი'), გონ-ნუთ 'უფერული' (გონ 'ფერი'), დარდ-ნუთ 'უდარდელი' (დარდ 'დარდი'), ინსაჰ-ნუთ 'უსინდისო', 'უნამუსო' (ინსაჰ 'სინდისი', 'ნამუსი'), ფოფ-ნუტ 'მელოტი' (ფოფ 'თმა'), ცაც-ნუტ 'უეკლო' (ცაც 'ეკალი'), ადამარ-ნუტ (ვართ.) / ამდარ-ნუტ (ნიჯ.) 'უკაცრიელი ადგილი', ოტ-ნუტ 'ურცხვი', 'თავხედი' (ოტ 'სირცხვილი'), უმუდ-ნუტ 'სასოწარკვეთილი' (უმუდ 'იმედი')... საინტერესოა თოგ-ნუთ (თოგ 'ფასი', 'ღირებულება') სიტყვის სემანტიკა, რომელიც 'უფასოს', 'არაღირებულს' კი არ ნიშნავს, პირიქით – 'შეუფასებელს', 'ძვირფასს'.

-ნუთ ნაწილაკი რთული შედგენილობისად მიაჩნია ვლ. ფანჩვიძეს. მეცნიერის აზრით, ნუთ მიღებულია ორი უარყოფითი ნაწილაკის ნუ 'არ' და თე 'არ' შეერთებით (ფანჩვიძე 1974: 124). -ნუთ ბოლოსართი ალბანურშიც იგივე ფუნქციით გვხვდებოდა: ღარ-ნუთ 'უშვილო', 'უძეო', კი-ნუთ 'ღარიბი', გო-ნუთ 'უცოდველი' (ლოლუა 2018: 156).

-სუზ// -სუს აზერბაიჯანული ენიდან შემოსული მაწარმოებელი ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც უდიური -ნუთ: ბულ-სუზ// ბულ-სუს 'უთავო', უკ-სუზ 'უგულო' (უკ 'გული'), ტამ-სუს 'უგემური', ნამუს-სუს 'უნამუსო' (ნამუს 'ნამუსი'), ბორჯ-სუზ 'უვალო' (ბორჯ 'ვალი'), ვადა-სუზ 'უდროო' (ვადა 'დრო'), ნეკ-სუზ 'უძილო' (ნეკ 'ძილი'), მო-სუზ 'უამისო' (მო 'ეს')... -სუზ სუფიქსიანი წარმოება უფრო პროდუქტიული ნიჯურ დიალექტშია.

-ქამ (ვართ.) / -ქამ (ნიჯ.) პრეფიქსით ნაწარმოები უქონლობის სახელები ძალიან მცირეა: ქამ-ქასირ 'უკმარისობა', ქამ-ბახთ 'უბედური' (ბახთ 'ბედი'). აღნიშნული პრეფიქსი შესაძლოა დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული ქამ 'არასაკმარისი', 'ნაკლები' იყოს. ასეთ შემთხვევაში კომპოზიტს მივიღებდით.

ვლ. ფანჩვიძე უქონლობის სახელთა კიდევ ერთ, **-ზა**, მაწარმოებელს გამოყოფს, რომელიც მხოლოდ ერთ სიტყვაში ხენე-ზა 'მწყურვალი' დასტურდება (ფანჩვიძე 1974: 123). ევგ. ჯეირანიშვილი კიდევ ერთ სახელში გამოყოფს -ზა სუფიქსს – ნიზა ← ნიზა (?) 'მონატრებული', 'დანატრებული', თუმცა მიუთითებს, რომ მისი წარმომავლობა ნათელი არ არის (ჯეირანიშვილი 1971: 29). აღნიშნულ სახელებში ჩანს ნაკლებობის, უქონლობის სემანტიკა, თუმცა დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია. პარალელს ჩეჩნური ენის მონაცემთან გავავლებდით. -ზა უქონლობის მაწარმოებელი სუფიქსი ჩეჩნურ ენაშიც დასტურდება: ჩამ-ზა 'უგემური' (ჩამ 'გემო'), ხენ-ა-ზა 'უდროო' (ხან 'დრო')... (ფარეულიძე 2010: 46).

ხელობა-პროფესიის სახელები. ხელობის სახელები პროფესიის, საქმიანობის გამომხატველი სახელებია. უდიურში ხელობის სახელებს აწარმოებს თურქულ-აზერბაიჯანული წარმომავლობის **-ჩი** სუფიქსი: ალვერ-ჩი 'ვაჭარი' (ალვერ 'ვაჭრობა'), არაბა-ჩი 'მეურმე' (არაბა 'ურემი'), პრზა-ჩი 'მომჩივანი', 'მოსარჩელე' (პრზა 'განცხადება'), დამირ-ჩი 'მჭედელი' (დამირ 'რკინა'), ზურნა-ჩი 'მეზურნე' (ზურნა 'ზურნა'), ნაღელ-ჩი 'მთხრობელი' (ნაღელ 'მთხრობა', 'ზღაპარი')... -ჩი სუფიქსით გამოხატულია აგრეთვე რაიმე ნიშან-თვისებით გამორჩეულობა: ქუდ-ჩი 'მყვირალა', 'პანიკიორი' (ქუდ 'ხმაური', 'ყვირილი', 'კივილი'), ჰანა-ჩი 'ხუმარა', 'ოხუნჯი' (ჰანა 'ხუმრობა')...

ნაწარმოებ სახელთა ამავე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ -ქარ სუფიქსიანი წარმოება: ფემ_ა-ქარ 'სპეციალისტი', 'პროფესიონალი' (ფემ_ა 'ხელობა', 'პროფესია', 'საქმიანობა'), გუნახ-ქარ 'დამნაშავე', 'ცოდვილი' (გუნახ 'ბრალი', 'ცოდვა'), დავა-ქარ 'მოჩხუბარი', 'სკანდალისტი' (დავა 'ჩხუბი', 'განხეთქილება', 'უთანხმოება')...

კნინობით-ალერსობითი სახელები. წარმოქმნილ სახელთა ამ ჯგუფში შედის სახელები, რომლებსაც სიმცირე-სიპატარავის, დამცირების, გარკვეული ფიზიკური ნაკლის მქონებლობის, მოფერება-ალერსის შინაარსი აქვს. სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ, წარმოქმნილ სახელთა სხვა ჯგუფებისგან განსხვავებით, კნინობით-საალერსო სახელებში მაწარმოებელი სიტყვას ემოციურ-გამომსახველობით იერს ანიჭებს, ლექსიკურ მნიშვნელობას კი იშვიათად უცვლის (ჭუმბურიძე 2011: 235, 237). უდიურ ენაში კნინობითობის მაწარმოებელი სიტყვას ექსპრესიულ ელფერსაც აძლევს და ახალ ლექსიკურ ერთეულებსაც წარმოქმნის, ოღონდ უკანასკნელის უპირატესობა ამკარაა.

უდიურში კნინობითობა -იკ სუფიქსით არის გამოხატული, მაგრამ სინქრონიულ დონეზე მისი წარმოება არ არის პროდუქტიული: ხუნჩი-კ (← ხუნჩი-იკ) 'დაიკო' (ხუნჩი 'და'). უმეტეს შემთხვევაში კნინობითობის მაწარმოებელი ფუძესთან არის შეზრდილი და მისი გამოყოფა მხოლოდ ისტორიულ-ეტიმოლოგიური ძიების შედეგად ხერხდება: ბინ-იკ 'თოჯინა' (ბინ 'რძალი', 'პატარძალი'), ბიზლ-იკ 'წვეტიანი' (ბიზ 'სადგისი'), მიწ-იკ 'პატარა', 'პაწია', ფუჭთლ-იკ 'ზუთხუზა', ფოთ-იკ 'გოჭი', ჭაჭ-იკ 'ქუსლი', წიწ-იკ 'მუძუ', ფიმ-იკ 'კატა' (შდრ.: ქართ. ფისო), ხალ-იკ 'ზიდა (დედის მხრიდან)' (შდრ.: თაბას. ხალუ 'ზიდა'), სხტ-იკ 'კოჭლი' (შდრ.: სხტესუნ 'კოჭლობა'), წირ-იკ 'წიწილა', ბიბ-იკ 'ბიბილო', კანცარ-იკ 'კალათა' (შდრ.: კანცარა 'id')...

-იკ კნინობითობის გამომხატველი სუფიქსის პოვნისთვის სხვა კავკასიურ ენებშიც (ქართველურში, ნახურში, ხუნძურში), გვაძლევს საშუალებას აღნიშნული სადერივაციო აფიქსი საერთოკავკასიური წარმომავლობისად მივიჩნიოთ (ბასილაშვილი 2018).

წარმომავლობის სახელები. წარმომავლობის (სადაურობის) სახელები ადამიანის ან საგნის წარმომავლობა-სადაურობას გამოხატავენ. უდიურში წარმომავლობის სახელთა საწარმოებლად გამოიყენება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -უნ: აფ-უნ 'სოფელი' (აფ 'სოფელი'), მფ-უნ 'აქაური' (მფ 'აქ'), ტფ-უნ 'იქაური' (ტფ 'იქ'), ალ-უნ 'ზემოთა' (ალა 'ზემოთ'), ოყ-უნ 'ქვემოთა' (ოყა 'ქვემოთ'), ლე-უნ 'დღევანდელი' (ლე 'დღეს'), წაბულ-უნ 'წაბლისფერი' (წაბულ 'წაბლი')... ვლ. ფანჩვიძის მართებული მოსაზრებით, ამგვარად წარმოებული სახელები ნაგენეტივარი ზედსართავებია, რომლებიც გამოხატავენ კუთვნილებას (ფანჩვიძე 1974: 127): აფ-უნ 'სოფელი' ← *სოფლისა', ტფ-უნ 'იქაური' ← *იქაურობისა', 'იქაურობის მკვიდრი'... უნდა აღინიშნოს, რომ -უნ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი კავკასიის ალბანურში აწარმოებს როგორც სადაურობას: ნაზორა-უნ 'ნაზარეველი', სამარ(ი)ა-უნ 'სამარიტელი', ასევე მიუთითებს წარმომავლობა-კუთვნილებაზე: დარე-უნ 'საბავშვო' (დარ 'ბავშვი', 'ვაჟი'), მარღავენ-უნ 'წინასწარმეტყველური' (მარღავენ 'წინასწარმეტყველი') (ლოლუა 2018: 127, 155).

სადაურობის/წარმომავლობის სახელებს (კუთვნილების ნიუანსით) წარმოქმნის ნათესაობითი ბრუნვის სხვა ნიშნებიც. ერთ-ერთი ასეთია -ინ სუფიქსი: კოჯ-ინ 'შინაური' (კოჯ 'სახლი'), ბამბაზი-ინ 'ფლანელის' (ბამბაზი 'ფლანელი'), მახმურ-ინ 'ხავერდოვანი' (მახმურ 'ხავერდი'), საუსენ-ინ 'ყოველწლიური', 'ერთწლიანი' (საუსენ 'ერთი წელი'), ალ-ინ (← ალა-ინ) 'ზემო' (ალა 'მაღლა', 'ზემოთ'), უდი-ინ (← უდი-ინ) 'უდიური' (ზედმიწ. 'უდის'), აზერბეჯან-ინ (ვართ.) / აზერბეჯან-ინ (ნიჯ.) 'აზერბაიჯანული'. როგორც ვხედავთ, აქაც ნაგენეტივარ სახელებთან გვაქვს საქმე. -ინ მაწარმოებლიანი წარმოქმნა ალბანურ ენასაც ახასიათებდა: კოჯ-ინ 'ოჯახური' (კოჯ 'სახლი'), ჰელ-ინ 'სულიერი' (ჰელ 'სული') (ლოლუა 2018: 156).

ზოგიერთი წარმომავლობის სახელი ი//→ (-ნ-ო)-მ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებით არის წარმოქმნილი: ალა-ი 'ბატონური', 'მედიდური' (ალა 'ბატონი', 'პატრონი'), ჭი-ნ-ო-მ 'ნაღვინევი', 'ნასვამი', 'მთვრალი' (ჭი 'ღვინო')...

წარმომავლობას აგრეთვე აწარმოებს -ლუ აზერბაიჯანულიდან შემოსული სუფიქსი (რომელიც ქონების სახელთა მაწარმოებლადაც გამოიყენება): აფ-ლუ 'სოფელი' (აფ

‘სოფელი’), შპპრ-ლუ ‘ქალაქელი’ (შპპრ ‘ქალაქი’), ვართაშენ-ლუ//ვართაშენ-ლუ ‘ვართაშენელი’, ამერქა-ლუ ‘ამერიკელი’ (ამერქა ‘ამერიკის შეერთებული შტატები’)...

წარმომავლობის სახელთა წარმოქმნა დიფერენცირებულია იმის მიხედვით ადამიანის სადაურობა-წარმომავლობას გამოხატავს თუ – ნივთისას. -უნ სუფიქსით წარმოებული სახელები თანაბრად მიემართებიან ადამიანს და ნივთს, -ლუ სუფიქსიანი წარმოება თითქმის უგამონაკლისოდ მხოლოდ ადამიანს მიემართება (ეს საინტერესო ფაქტია, რადგან -ლუ სუფიქსი ნასესხებია და მას მეორე ფუნქციაც აქვს – აწარმოებს ქონების სახელებს). რაც შეეხება -ინ (-უნ) სუფიქსით წარმოქმნილ სახელებს, ისინი მხოლოდ რა ჯგუფის (არაადამიანთა) სახელებს მიემართებიან და ოპოზიციაში შედიან ოდენ ფუძით გამოხატულ ვინ ჯგუფის სახელებთან: გურჯი-ინ ‘ქართული’ ~ გურჯი ‘ქართველი’, პრმედ-უნ (ვართ.) / პრმი-ინ (ნიჯ.) ‘სომხური’ ~ პრმეინ (ვართ.) / პრმი ‘სომეხი’, ინქილის-ინ ‘ინგლისური’ ~ ინქილის ‘ინგლისელი’, ურუს-უნ ‘რუსული’ ~ ურუს//რუს ‘რუსი’. წარმოქმნილ სახელთა ეს ჯგუფი უდიური ენის ისტორიისთვის მეტად საინტერესო ფაქტებს წარმოაჩენს. როგორც ჩანს, წარმომავლობის სახელთა წარმოებაზე აწ უკვე გამქრალი კლასის მორფო-სინტაქსური კატეგორიის თავისებურებამ მოახდინა გავლენა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ როდესაც გრამატიკული კლასის გაქრობაზე ვსაუბროთ, აქ მხოლოდ მის მორფოლოგიურ გამოხატვას ვგულისხმობთ, ხოლო ენობრივი მსოფლმხედველობა (რომლის ერთ-ერთი მორფოლოგიური გამოხატვაც არის კლასის გრამატიკული კატეგორია) უფრო მეტი კონსერვატიზმით გამოირჩევა და, ამდენად, უცვლელი რჩება¹. აღსანიშნავია, რომ ამგვარი რამ უდიურ ბრუნებაშიც იჩენს თავს – მსგავსი ფუძის მქონე ადამიანისა და ნივთის სახელები (ომონიმები) განსხვავებულად იბრუნვის (სიხარულიძე 2005: 100).

-ლუ სუფიქსიანი წარმოება. -ლუდ (//-ლუბ) აზერბაიჯანულიდან შემოსული სუფიქსი უდიურ სიტყვაწარმოებაში პოლიფუნქციურობით ხასიათდება. იგი აწარმოებს:

ა) **აბსტრაქტულ (განყენებულ) სახელებს:** შელ-ლუდ//შელ-ლუბ ‘სიკეთე’ (შელ ‘კარგი’), ფის-ლუდ//ფის-ლუბ ‘ზოროტება’ (ფის ‘ცუდი’), ადამარლუდ (ვართ.) / ამდარლუდ (ნიჯ.) ‘ადამიანობა’, ‘ჰუმანიზმი’ (ადამარ / ამდარ ‘ადამიანი’), ალა-ლუდ ‘სიმაღლე’ (ალა ‘მაღლა’, ‘ზემოთ’), ამწი-ლუდ ‘სიცარიელე’ (ამწი ‘ცარიელი’), ადელ-ლუდ ‘ზავშობა’ (ადელ ‘ზავში’), ლაჩლუდ ‘მიმაგრებულობა’, ‘კავშირი’ (ლაჩ ‘კონა’, ‘შეკვრა’)...

ბ) **დანიშნულების სახელებს:** ხალიკ-ლუდ ‘ზიდის ძღვენი, საჩუქარი (მიტანილი დისწულის ქორწილში)’ (ხალიკ ‘ზიდა’), აბბასი-ლუდ (ნიჯ.) / აბაზი-ლუდ (ვართ.) ‘ნივთი, რომელიც ოცი კაპიკი ღირს’ (აბბასი (ნიჯ.) / აბაზი (ვართ.) ‘ოცკაპიკიანი მონეტა’), ამანათ-ლუდ ‘გირავნობის საგანი’ (ამანათ ‘ანაბარი’, ‘გირავი’), კოჯ-ლუდ (ვართ.) / კოჟ-ლუდ (ნიჯ.) 1. ‘სამშენებლო მასალა’; 2. ‘სურსათის მარაგი სახლისთვის’ (კოჯ/კოჟ ‘სახლი’), ბაჟ-ლუდ (ნიჯ.) ‘მამული’ (ბაჟ ‘აზნაური’, ‘ბეგი’), არტისტ-ლუდ ‘არტისტი’, ‘სამსახიობო’ (არტისტ ‘მსახიობი’)...

გ) **კრებით სახელებს** (ჯგუფურობას, ერთგან თავმოყრას): გპრპმზა-ლუდ ‘სასაფლაო’ (გპრპმზა ‘საფლავი’), ფოს-ლუდ ‘ნაგავსაყრელი’ (ფოს ‘ნაგავი’), ხოდ-ლუდ ‘ტყე’ (ხოდ ‘ხე’), ძაშილ-ლუდ ‘მწვანილი’, ‘მცენარეულობა’ (ძაშილ ‘მწვანე’), ცაც-ლუდ ‘ეკალნარი’ (ცაც ‘ეკალი’)... განსაკუთრებით პროდუქტიულია მცენარეთა სახელებთან: ღოდ-ლუდ ‘ალუჩის ბაღი’ (ღოდ ‘ალუჩა’), მჯ-ლუდ//მჯმჯ-ლუდ ‘მუხნარი’ (მჯ ‘მუხა’), ჭაპ-ლუდ ‘ვენახი’ (ჭაპ ‘ვაზი’), ჯლამ-ლუდ ‘ბროწეულის ბაღი’ (ჯლამ ‘ბროწეული’), ბალანყო(დ)-ლუდ ‘მაყვლოვანი’ (ბალანყო(დ) ‘მაყვალი’), ბაჟ-ლუდ ‘ბლის ბაღი’ (ბაჟ ‘ბალი’), ბაღდადი-ლუდ ‘გოგრის ბაღი’ (ბაღდადი ‘გოგრა’), ერეყ-ლუდ ‘თხილნარი’ (ერეყ ‘თხილი’), ეშ-ლუდ ‘ვამლნარი’ (ეშ ‘ვამლი’), ვარდ-ლუდ ‘ვარდნარი’ (ვარდ ‘ვარდი’)...

¹ მსგავსი ვითარება გვაქვს ქართულშიც, შდრ.: ბერმენი – ბერმნული, ფრანგი – ფრანგული, უდი – უდიური... რა თქმა უნდა, აქ ეთნონიმთაგან წარმოებული სახელები გვაქვს, მაგრამ არც ქართულისთვის უნდა იყოს ასეთი წარმოქმნა შემთხვევითი, მითუმეტეს, რომ ვიცით -ელ და -ურ წარმომავლობის სუფიქსთა შორის განსხვავება (მაგ., ქართვ-ელ-ი – ქართ-ულ-ი) კლასის გრამატიკულ კატეგორიასთან არის დაკავშირებული.

დ) გამოხატავს ვისიმე ან რისამე შენაცვლებას, მაგივრობას: ბაბა-ლულ 'მამინაცვალი' (ბაბა 'მამა'), ნანა-ლულ 'დედინაცვალი' (ნანა 'დედა'), ვიჩი-ლულ 'არაღვიძლი, გერი ძმა' (ვიჩი 'ძმა'), ხუნჩი-ლულ 'გერი და' (ხუნჩი 'და')... როგორც ვიცით, -ლულ სუფიქსი აბსტრაქტულ სახელებსაც აწარმოებს – ბაბა-ლულ შეიძლება ნიშნავდეს 'მამობასაც' და 'მამინაცვალსაც', ნანა-ლულ – 'დედობასაც' და 'დედინაცვალსაც', მათ გარჩევაში კონტექსტი დაგვეხმარება.

ე) რიცხვით სახელებზე დართვისას -ლულ სუფიქსი აწარმოებს **ქონების სახელებსაც** (რიცხვითი სახელებით გამოხატული ადამიანების ან საგნების ერთობას [ერთიანობას]): სა-ლულ 'ერთეული', ჰა-ლულ 'ორეული', 'ორიანი', ბიჰ-ლულ 'ოთხიანი', ვულ-ლულ 'შვიდიანი'...

-ლულ სუფიქსი, გარდა სახელებისა, აწარმოებს ზმნისართებსაც: ღე-ლულ 'დღესათვის' (ღე 'დღეს', ღი 'დღე'), ჰმშიშ-ლულ 'სამუდამოდ', 'სამარადისოდ' (ჰმშიშ 'ყოველთვის', 'მუდამ')...

-ლულ სუფიქსით არის წარმოქმნილი, აგრეთვე, ზოგიერთი სახელი, რომელთა მიკუთვნება რომელიმე ზემოთხამოთვლილ ჯგუფთან გაგვიჭირდებოდა: ბაჰტა-ლულ 'ლენტი', 'ზონარი' (ბაჰტა 'ზონარი', 'თასმა'), ყურახ-ლულ 'გვალვა' (ყურად 'უწყლო', 'მშრალი'), უსენ-ლულ 'წლიური', 'წელიწდეული', 'ერთი წლისა'...

-ლულ სუფიქსის თავკიდური ლ რ, დ და ტ თანხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეზე დართვისას ზოგჯერ სრულ ასიმილაციას განიცდის: მქზდტრ-რულ ← მქზდტრ-ლულ 'მოჯამაგირეობა', ოსტავარ-რულ ← ოსტავარ-ლულ 'გამძლეობა', 'სიმაგრე', ჭაღგრ-რულ ← ჭაღგრ-ლულ 'სიღარიბე', 'უმწეობა', ბაზარ-რულ ← ბაზარ-ლულ 'ბაზრის', 'საბაზრო', ხოდ-დულ ← ხოდ-ლულ 'ტყე', 'კორომი', ვაღად-დულ ← ვაღად-ლულ 'საქმის ცოდნა', ყტტ-ტულ ← ყტტ-ლულ 'დანაკლისი', 'უკმარისობა'...

-უნ სუფიქსური წარმოება. როგორც ვნახეთ, -უნ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი წარმომავლობის სახელებს აწარმოებს, რომელიც წარმოშობით ნაგენეტივარი ატრიბუტივებია. უდიურ სიტყვაწარმოებაში -უნ სუფიქსი სხვაგვარი ფუნქციითაც გვხვდება – ზმნურ ძირთაგან აწარმოებს სუბსტანტივებს: ბიტ-უნ 'ნათესი' (ბიტესუნ 'თესვა'), კაჰკ-უნ 'კევი' (კაჰფესუნ 'ღეჭვა'), ებ-უნ 'საკერავი' (ებსუნ 'კერვა'), ყყყფ-უნ 'ერბო-კვერცხი' (ყყყფსუნ 'ხრჩობა', 'გუღვა'), ჭეფ-უნ 'გამონაყარი' (ჭეფსუნ 'გამოყრა'), ეზბ-უნ 'ხნული' (ეზბესუნ 'ხვნა'), ბოკ-უნ 'ნამწვი' (ბოკსუნ 'წვა'), ქიშფ-უნ 'ზურბუმელა' (ქიშფესუნ 'გამალაშინება')... ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, ამგვარი წარმოების -უნ სუფიქსიც ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად უნდა ჩაითვალოს (ჯეირანიშვილი 1971: 29). უფრო ადრე -უნ სუფიქსს სხვაგვარი წარმომავლობის ფორმანტად თვლიდა ვლ. ფანჩვიძე (ფანჩვიძე 1974: 120). -უნ დერივაციული სუფიქსი წარმოდგენილია კავკასიის ალბანურშიც, სადაც ის დაერთვის ზმნისართებს, ზედსართავ სახელებსა და ზმნურ ფუძეებს (მიმღეობას) და აწარმოებს აბსტრაქტულ არსებით სახელებს: ბუყა-უნ 'სიყვარული' (ბუყ-ესუნ 'ყვარება', 'ნდომა'), ჰიმიყანა-უნ 'საჭიროება', 'უკმარობა' (ჰიმიყ-ესუნ 'უკმარობა'), ქეჭე-უნ 'სიცუდე' (ქეჭე 'ცუდი'), აველ-უნ 'სიმრავლე' (აველ 'ბევრი', 'მრავალი'), ასამ-უნ 'მშვიდობა' (ასამ 'მშვიდი')... ივარაუდება, რომ ეს სუფიქსი მხოლოდ ფორმობრივად დაემთხვა გენეტივის -უნ მაწარმოებელს (ლოლუა 2018: 124). არ არის გამორიცხული, უდიურშიც ასეთ შემთხვევასთან გვექონდეს საქმე – სახეზე იყოს ორი მატერიალურად მსგავსი, მაგრამ წარმომავლობით და ფუნქციურად განსხვავებული ფორმანტები. ასეთი მოვლენა, ზოგადად, არცერთი ენისთვის არ არის უცხო.

მკვლევართა ნაწილი (ჯეირანიშვილი 1971: 30; ლოლუა 2010: 62) უდიურ სახელთა ერთ ნაწილში ფუძესთან შეხორცებულ -უნ სუფიქსს გამოყოფს: ბუქუნ 'მუცელი', ჯაბუნ 'ვარსკვლავი', დაჯუნ 'მხალი', ქეჯუნ 'მჟავე'... შესაძლებელია, ასეთ სეგმენტაციას მართლაც ჰქონდეს გარკვეული ისტორიული საფუძველი. ისტორიული დერივაციის საკითხები, სახელურ სიტყვა-ფორმათა შენების პროცესი ეტიმოლოგიურ კვლევებსა და მონათესავე ენებთან შედარებას მოითხოვს. ევგ. ჯეირანიშვილი უდიური ბუქუნ-ის შესატყვისებად წახ. ვუჭუნ-ს, რუთ. უჭუნ-ს, ლეზგ. რუჭუნ-ს, ად., თაბას. ჭუნ-ს, ჯეკ. ჭან-ს და ქართ. ბოქვენ-ს თვლიდა (ჯეირანიშვილი 1958; 1984). აღნიშნულ ფუძეთა ევგ. ჯეირანიშვილის უაღრესად საინტერესო ინტერპრეტაცია, რაც სიტყვა-ფორმებში კლას-კატეგორიის გაქვავებულ პრეფიქსთა და დეტერმინანტ სუფიქსთა

გამოყოფას და ძირად ოდენკონსონანტური მორფემის წარმოჩენას გულისხმობს, ჩემი აზრით, მაინც უფრო იმდროინდელ ლინგვისტურ კავკასიოლოგიაში გაბატონებული ძირთა მონოკონსონანტური თეორიის გამოძახილია. თანამედროვე ეტიმოლოგიური კვლევებით მტკიცდება, რომ მხოლოდ მონოკონსონანტურ ძირთა დაშვების და ყველა სიტყვაში (რომელიც, რა თქმა უნდა, იძლევა ამის საშუალებას) გრამატიკული კლასის კვალის ძიების აუცილებლობა არ არსებობს. რაც შეეხება ქვეყნს 'ტყლაპი' სიტყვას, მისი წარმოქმნა ქვეყნ 'მჟავე' სიტყვიდან რეალობას უნდა ასახავდეს. ჩვენი აზრით, ქვეყნს (\leftarrow ქვეყნ-უნ, სუფიქსის გავლენით ბოლოკიდური ე ხმოვანი მოიკვეცა) ნაგენეტივარი სუბსტანტივია 'სიმჟავის შემცველი', 'სიმჟავის თვისების მქონე' სემანტიკით.

საინტერესოა, რომ -უნ სუფიქსი უდიურში მასდარის წარმოებაშიც იჩენს თავს.

ვლ. ფანჩვიძის აზრით, ატრიბუტივთა (ზედსართავ სახელთა) ახალი ფუძეების საწარმოებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას თანდებულები და ნაწილაკები (ფანჩვიძე 1974: 126). თუმცა უნდა აღინიშნოს უდიური ენის ერთი სპეციფიკა (მსგავსი მოვლენა არც სხვა ენებისთვის არის უცხო) – ზოგიერთ შემთხვევაში ზედსართავულ და ზმნისართულ ფუძეთა გაუდიფერენცირებლობა. მათი რაობის გაგებაში სინტაქსი გვეხმარება – თუ მსაზღვრელია ანუ სახელთან არის შეწყობილი, ზედსართავი სახელი იქნება, ხოლო თუ ზმნას მიემართება – ზმნისართი: შელ ადამარ 'კეთილი ადამიანი' ~ შელ ცამნება 'კარგად წერს', გოლო სტუდენტ 'ბევრი სტუდენტი' ~ გოლო მა აშბა 'ბევრს ნუ მუშაობ' (ჯეირანიშვილი 1971: 32). ვლ. ფანჩვიძის მიერ დასახელებულ მაგალითთა უმეტესობაში თანდებულებითა და ნაწილაკებით წარმოქმნილ ზმნისართებთან გვაქვს საქმე, რომლებიც ზმნებთან არის დაკავშირებული, ამიტომ ამ ტიპის წარმოებას სახელურ დერივაციაში ვერ განვიხილავთ.

რიცხვით სახელთან დაკავშირებული სიტყვაწარმოება. სიტყვაწარმოებაში განვიხილავთ რიგობით და კრებით რიცხვით სახელთა წარმოქმნას. რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება სათანადო რაოდენობითი რიცხვითი სახელის გაუფორმებელ ფუძეზე -მ-ჯი, -უმ-ჯი/-იმ-ჯი// -გმ-ჯი(ნიჯ.), უნ-ჯი რთული სუფიქსების დართვით: სა-მჯი 'პირველი' (სა 'ერთი'), ბიპ-უმჯი/ბიპ-უნჯი/ბიპ-იმჯი (ნიჯ.) 'მეოთხე' (ბიპ 'ოთხი'), ვიწ-უმჯი/ვიწ-უნჯი/ვიწ-იმჯი (ნიჯ.) 'მეათე' (ვიწ 'ათი'), ბაჩ-უმჯი/ბაჩ-უნჯი/ბაჩ-გმჯი 'მეასე' (ბაჩ 'ასი')...

რიგობით რიცხვით სახელთა საწარმოებელი სუფიქსი რთული წარმომავლობისაა: მ-ჯი \leftarrow უმ-ჯი \leftarrow უნ-ჯი (სა-მჯი \leftarrow სა-უმჯი \leftarrow სა-უნჯი 'პირველი'). ეს ფორმანტი უდიური ენის პირველ მკვლევრებს ა. შიფნერსა და ა. დირს აზერბაიჯანულიდან ნასესხებად მიაჩნდათ. ამგვარი სუფიქსები აზერბაიჯანულში ნამდვილად გვაქვს: inca, unca, ünca (ფანჩვიძე 1974: 112-113). საყურადღებოა, რომ რიგობით რიცხვით სახელებს ზემოთ ხსენებულ რთულ სუფიქსთან ერთად პარალელურად აწარმოებს -უნ სუფიქსიც: სა-მჯი // სა-უმ \leftarrow სა-უნ 'პირველი', პა-უმჯი//პა-უნჯი//პა-უნ(-ო) 'მეორე' (პა 'ორი')... ამ -უნ სუფიქსის კვალიფიკაცია, როგორც ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისა, სწორი უნდა იყოს (შიფნერი 1863: 20; ჯეირანიშვილი 1971: 35), სწორი ჩანს მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც -უმ-ჯი რთული სუფიქსის მეორე ნაწილი (-ჯი ელემენტი) ნასესხები უნდა იყოს აზერბაიჯანულიდან (ლოლუა 2010: 115). -უნ გენტივის ნიშანი კომპონენტია რთული არ-უნ სუფიქსისა, რომლის საშუალებითაც რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება კავკასიის ალბანურში: ხიბ-არ-უნ 'მესამე', ვულ-არ-უნ 'მეშვიდე', მულ-არ-უნ 'მერვე'... (ლოლუა 2018: 166-167). რიგობითობის -უნ სუფიქსით წარმოების პირველადობაზე ისიც მეტყველებს, რომ სუბსტანტივის ფუნქციით გამოყენებული რიგობითი რიცხვითი სახელი უპირატესობას -უნ ფორმანტიან წარმოებას ანიჭებს და შესაძლოა, აგრეთვე, ისიც, რომ -უნ სუფიქსით ზმნისართთაგან წარმოქმნილ ატრიბუტივებში რიგობითობის სემანტიკა შეინიშნება: ბემ-უნ(-ო) 'წინა' (ბემ 'წინ'), ახრ-უნ(-ო) 'უკანასკნელი' (ახრ 'ბოლოს'), ბიდ-უნ(-ო) 'შუალა', 'შუათანა' (ბიდ 'შუა')... (ფანჩვიძე 1974: 113).

როგორც ჩანს, ისტორიულად უდიურში რიგობითობა ნათესაობითი ბრუნვის საშუალებით იწარმოებოდა, ხოლო მოგვიანებით, როცა უდიურზე გაიზარდა აზერბაიჯანულის გავლენა,

საკუთრივ უდიურ წარმოებას აზერბაიჯანული წარმოებაც მიემატა, მაგრამ არა დამოუკიდებლად, არამედ მივიღეთ ერთგვარი უდიურ-აზერბაიჯანული სინთეზური წარმოება.

კრებითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობით რიცხვით სახელზე რთული -ალ-ინ//ბ-ალ-ინ და -ალ-ენ//ბ-ალ-ენ სუფიქსთა დართვით: პე-ლ-ინ//პე-ლ-ენ 'ორივე', 'ორივე ერთად', ხიბ-ალ-ინ//ხიბ-ალ-ენ 'სამივე', 'სამივე ერთად', ჯო-ბ-ალ-ინ//ჯო-ბ-ალ-ენ 'ხუთივე', 'ხუთივე ერთად', ვუბ-ბ-ალ-ინ//ვუბ-ბ-ალ-ენ 'ცხრავე', 'ცხრავე ერთად', ვიწ-ბ-ალ-ინ//ვიწ-ბ-ალ-ენ 'ათივე', 'ათივე ერთად'...

ამ ორი ვარიანტიდან პირველი (-ალ-ინ//ბ-ალ-ინ) გავრცელებულია, როგორც ვართაშნულ, ისე ნიჯურ დიალექტში, მეორე (-ალ-ენ//ბ-ალ-ენ) ვარიანტი კი მხოლოდ ვართაშნულ კილოში იხმარება. ნიჯურში პარალელურად -არ-ან ფორმანტიც დასტურდება: ხიბ-არ-ან 'სამივე', ბიპ-არ-ან 'ოთხივე'...

ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, ამ რთული მაწარმოებლის ბოლოკიდური -ინ/-ენ ელემენტი შეიძლება ნათესაობითი ბრუნვის ან ერგატივ-ინსტრუმენტალისის -ინ, -ენ სუფიქსებს უკავშირდებოდეს; -ალ შესაძლოა უდიურში ამჟამად გავრცელებულ ალ 'ც', 'მცა', 'კიდევაც' ნაწილაკს დაუკავშირდეს, ხოლო თავკიდური ბ- (რომელსაც ნიჯურში კანონზომიერად ვ ენაცვლება: ჯო-ვ-ალ-ინ 'ხუთივე'...) გრამატიკული კლასის გაქვავებული ნიშანი უნდა იყოს (ჯეირანიშვილი 1971: 36). ევგ. ჯეირანიშვილს ასეთი მსჯელობის საბუთად ხიბ 'სამის' ეტიმოლოგია მიაჩნია, რომლის ბოლოკიდური -ბ ელემენტი კლას-კატეგორიასთან არის დაკავშირებული (ჯავახიშვილი 1937: 362, 365), აქედან გამომდინარე, მეცნიერი ვარაუდობს, რომ სხვა რიცხვით სახელებშიც შესაძლებელია გვექნოდეს გაქვავებული კლასიფიკატორი, მაგალითად, ჯო ← *ჯო-ბ ('ხუთი') → ჯო-ბ-ალ-ინ//ჯო-ბ-ალ-ენ 'ხუთივე'... ასეთი რამ დასაშვები და სრულიად ბუნებრივი იქნებოდა უდიური ენისათვის, -ბ ელემენტით დაწყებული კრებითი რიცხვითი სახელების მაწარმოებელი (ბ-ალ-ინ//ბ-ალ-ენ) მხოლოდ ხმოვანფუძიან რიცხვით სახელებს რომ დაერთვოდეს, ის თანაბრად დაერთვის ხმოვანფუძიანებსაც და თანხმოვანფუძიანებსაც (იხ. მაგალითები ზევით). ასეთ შემთხვევაში კლას-კატეგორიის ისტორიული ნიშნის რეინტერპრეტაციის შესაძლებლობა უნდა დავუმვათ, რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, მაგრამ მაინც დამატებით მიებას საჭიროებს. აღნიშნულ ფორმანტთა გენეზისის კვლევაში გარკვეული სიცხადე კავკასიის ალბანური ენის (რომლის მემკვიდრედაც უდიური ენა უნდა ჩაითვალოს) მონაცემებს შეაქვს. ალბანურში რიგობით რიცხვით სახელს აწარმოებს -არ-უნ რთული სუფიქსი, რომლის მეორე კომპონენტი -უნ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს (ლოლუა 2018: 166), ალბანურის მსგავსად, უდიურშიც ბ-ალ-ინ(//ბ-ალ-ენ) ფორმანტის -ინ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს. ცნობილია, რომ ზოგიერთ უდიურ არსებით სახელთან ნათესაობითისა და ერგატივის ნიშნად -ინ სუფიქსი გვაქვს. როგორც ჩანს, კრებითობის საწარმოებელი ფორმანტის -ინ დაბოლოება, რომელიც თავდაპირველად ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი იყო, მოგვიანებით ერგატივის ნიშნად იქნა გააზრებული და ამიტომ მივიღეთ -ენ დაბოლოებიანი ფორმანტი (ბ-ალ-ენ) ვართაშნულ დიალექტში. რაც შეეხება უდიურ -ალ- ელემენტს, ის ალბანური -არ- ელემენტის ფარდი მონაცემი ჩანს. უდიური ლ/რ : ალბანური რ კანონზომიერ ბგერათფარდობად გვესახება, რომელიც შეიძლება არსებობდეს ერთი ენის ორ ენობრივ ერთეულს (დიალექტს) ან ორ ახლომონათესავე ენას შორის. ჩვენი მოსაზრება გამყარდება, თუ გავიხსენებთ, რომ უდიური ენის ნიჯურ კილოში -არ-ან სუფიქსიანი წარმოებაც დასტურდება. ნიჯურში -არ სუფიქსი, რომელსაც დამორებითი ბრუნვა ემატება, წილობით რიცხვით სახელებსაც აწარმოებს (ფანჩიძე 1974: 116). გამოდის, რომ ერთი და იგივე სადერივაციო მორფემა ალბანურსა და უდიურში ერთმანეთთან ახლოს მდგომი, მაგრამ მაინც განსხვავებული ფუნქციით გამოიყენებოდა: ალბანურში რიგობით რიცხვით სახელებს, ხოლო უდიურში კრებით რიცხვით სახელებს აწარმოებდა. აღსანიშნავია, რომ ალბანური რიგობითი რიცხვითი სახელი პურან 'მეორე', რომლის რეკონსტრუქციასაც ასე ვარაუდობენ: ← *პე-რ-არ-უნ (ლოლუა 2018: 166) და რომელიც რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუნქციითაც გვხვდება, უდიურში დღესაც ცოცხალი ლექსემაა და ნიშნავს 'ორივე', 'ისევ', 'კიდევ', 'აგრეთვე'.

კრებით რიცხვით სახელებს ა. შიფნერი კოლექტიურობის, ჯგუფურობის გამომხატველ სახელებს უწოდებს (შიფნერი 1863: 20).

ბიბლიოგრაფია

ბასილაშვილი 2018: ამირან ბასილაშვილი. ერთი საერთო სადერივაციო სუფიქსი უდიურსა და ქართულში: ეტიმოლოგიური ძიებანი, XV, გვ. 8-14. თბილისი: 2018.

ლოლუა 2010: რომან ლოლუა. უდიური ენა (გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი). თბილისი: 2010. http://www.ice.ge/new/pages/samples/books/cavcas/6_r_lolua_udiuri_ena.pdf

ლოლუა 2017: რომან ლოლუა. უდიურ-ქართული ლექსიკონი (ლინგვისტური კომენტარებით, ინდექსითა და გრამატიკული ნარკვევით). თბილისი: 2017. <https://ice.ge/of/wp-content/uploads/2017/07/ლოლუა-AR2432-13214-უდიურ-ქართული-ლექსიკონი-გაერთიანებული-რ.-ლოლუა.pdf>

ლოლუა 2018: რომან ლოლუა. კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული ანალიზი. თბილისი: 2018. <https://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/07/YS.pdf>

რუხაძე, ბასილაშვილი 2018: ნინო რუხაძე, ამირან ბასილაშვილი. უდიურ-ქართული ლექსიკონი. ვოინოვრიცე: 2018.

სიხარულიძე 2005: ტარიელ სიხარულიძე. არსებით სახელთა ბრუნება უდიურში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.

ფანჩვიძე 1974: ვლადიმერ ფანჩვიძე. უდიური ენის გრამატიკული ანალიზი. თბილისი: გამომცემლობა 'მეცნიერება', 1974.

ფარეულიძე 2010: როსტომ ფარეულიძე. ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტი (გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი). თბილისი: 2010. http://www.ice.ge/new/pages/samples/books/cavcas/2_r_pareulidze_chechnuri_ena.pdf

ჭუმბურიძე 2011: ნინო ჭუმბურიძე. სიტყვაწარმოება: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (სალიტერატურო ენა), გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, გვ. 211-246. თბილისი: 2011. <http://www.ice.ge/new/pages/samples/books/Binder4.pdf>

ჯავახიშვილი 1937: ივანე ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, 1937.

ჯეირანიშვილი 1958: ევგენი ჯეირანიშვილი. ზოგი საერთო ფუძე წახურულ-რუთულურ-უდიურსა და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IX-X, გვ. 345-350. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958.

ჯეირანიშვილი 1971: ევგენი ჯეირანიშვილი. უდიური ენა (გრამატიკა. ქრესტომათია. ლექსიკონი). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971.

ჯეირანიშვილი 1984: ევგენი ჯეირანიშვილი. ქართულ (ქართველურ) და უდიურ (ლეზგიურ) ენათა ლექსიკური პარალელები. ზოგი ფონეტიკური ცვლილების საკითხი: საენათმეცნიერო კრებული, I, გვ. 270-271. თბილისი: 1984.

Schiefner 1863: Anton Schiefner. Versuch über die Sprache der Uden. Mémoires de l'Académie impériale des sciences de St.-Petersbourg, VII^e Série, Tome VI, №8. St. Petersburg: 1863.

Гукасян 1968: Ворошил Гукасян. Удинские слова в 'ИСТОРИИ АЛБАН': известия академии наук Азербайджанской сср, №1, 53-61. 1968.

Гукасян 1971: Ворошил Гукасян. Удинско-азербайджанско-русский словарь. Баку: 1971.

Дирр 1903: Адолф Дирр. Грамматика удинского языка. Тифлис: 1903